

შპს „გრინველი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

# შინაარსი:

## ფინანსური ინფორმაცია

|                                                           |   |
|-----------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----                  | 3 |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- | 4 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----          | 5 |

## ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

|                                                               |    |
|---------------------------------------------------------------|----|
| ზოგადი ინფორმაცია -----                                       | 6  |
| ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა -----                            | 6  |
| ფინანსური ინსტრუმენტები -----                                 | 6  |
| ძირითადი საშუალებები -----                                    | 9  |
| არამატერიალური აქტივები -----                                 | 9  |
| მარაგები -----                                                | 9  |
| შემოსავლები -----                                             | 10 |
| ხარჯები -----                                                 | 10 |
| ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები ----- | 10 |
| მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ----- | 11 |
| პირობითი ვალდებულება -----                                    | 11 |
| საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები -----                | 11 |
| ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება -----                       | 11 |

შპს „გრინველი“  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ლარი)

| დასახელება                            | 31-12-24         | 31-12-23         | 31-12-22         |
|---------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები           | 93,806           | 257,147          | 28,503           |
| მარაგები                              | 3,145,695        | 3,004,912        | 1,079,357        |
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 359,428          | 224,262          | 36,429           |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები            | 443,901          | 405,275          | 114,890          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         | <b>4,042,830</b> | <b>3,004,912</b> | <b>1,079,357</b> |
| ძირითადი საშუალებები                  | 291,218          | 314,608          | 427,702          |
| არამატერიალური აქტივები               | 5,259            | 5,259            | 0                |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      | <b>296,477</b>   | <b>319,867</b>   | <b>427,702</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                   | <b>4,339,307</b> | <b>4,211,463</b> | <b>1,686,881</b> |
| სავაჭრო ვალდებულებები                 | 4,380,868        | 4,181,586        | 1,372,650        |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ    | 0                | 18,965           | 0                |
| საგადასახადო ვალდებულებები            | 44,834           | 76,850           | 51,881           |
| გრძელვადიანი სესხები                  | 0                | 341,363          | 253,139          |
| სხვა ვალდებულებები                    | 112,607          | 46,135           | 30,500           |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> | <b>4,538,309</b> | <b>4,664,899</b> | <b>1,708,170</b> |
|                                       |                  |                  |                  |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |                  |                  |                  |
| <b>ჯამური ვალდებულებები</b>           |                  |                  |                  |
| კაპიტალი                              | 0                | 0                | 0                |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი           | -199,002         | -453,436         | -21,289          |
| სხვა რეზერვები                        | 0                | 0                | 0                |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>          | <b>-199,002</b>  | <b>-453,436</b>  | <b>-21,289</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  | <b>4,339,307</b> | <b>4,211,463</b> | <b>1,686,881</b> |

დირექტორი:

რევაზ რამაზაშვილი



შპს „გრინველი“

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

| დასახელება                               | 2024           | 2023           |
|------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>ნეტო ამონაგები</b>                    | <b>364,215</b> | <b>288,292</b> |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან        | 976,182        | 3,039,574      |
| შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან          |                |                |
| სხვა შემოსავალი                          |                |                |
|                                          |                |                |
| <b>საოპერაციო ხარჯები</b>                |                |                |
| გაყიდვების თვითღირებულება                | -871,092       | -2,558,132     |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | -125,010       | -312,762       |
| იჯარა                                    | -13,635        | 0              |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     | -23,390        | -15,629        |
| საპროცენტო ხარჯები                       | -15,168        | -22,812        |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -38,010        | -108,395       |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>            |                |                |
| <b>მოგება საოპერაციო საქმიანობიდან</b>   |                | <b>228735</b>  |
| არასაოპერაციო შემოსავლები                | 342            |                |
| არასაოპერაციო ხარჯი                      |                |                |
| <b>მოგება მოგების გადასახადამდე</b>      | <b>254,434</b> | <b>228735</b>  |
| მოგების გადასახადი                       | 0              | -41,248        |
| <b>მოგება/(ზარალი)</b>                   | <b>254,434</b> | <b>187487</b>  |

დირექტორი:

რევაზ რამაზაშვილი



შპს „გრინველი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

|                                            | 2024     | 2023     |
|--------------------------------------------|----------|----------|
| კაპიტალი საწყისი ნაშთი                     | -453,436 | -21,289  |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება               | 0        | 0        |
| განაწილებული მესაკუთრეებზე (მ.შ დივიდენდი) | 0        | -189,474 |
| საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი          | 254,434  | -242,673 |
| კაპიტალის სხვა ცვლილება                    | 0        | 0        |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს      | -199,002 | -453,436 |

დირექტორი:

რევაზ რამაზაშვილი



## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გრინველი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2021 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 417898314.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების - ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი: 42210. ხოლო დამხმარე საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა სხვა ტექნიკის, მოწყობილობების და მატერიალური საშუალებების იჯარა და ლიზინგი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის - ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი: 77390

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, გორის რაიონი, სოფელი ხიდისთავი, მე-14 ქ., N135.

კომპანიის დამფუძნებელია:

გიორგი ქოქაშვილი, (პ/ნ: 59001102350), 67%-იანი წილი,

რევაზ რამაზაშვილი (პ/ნ 59001015344) 33%-იანი წილი.

კომპანიის დირექტორია რევაზ რამაზაშვილი.

### ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

### ფინანსური ინსტრუმენტები

**აქტივის თვითღირებულება** არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

**ამორტიზებადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.

დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**ოპერაციის ღირებულება** არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

**ცვეთადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.

### ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

### სავაჭრო მოთხოვნები

მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით.

### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

## **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

კომპანია ანგარიშების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

## **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას.

## **ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

## **ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

## **გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

## **ძირითადი საშუალებები**

### **ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

### **ა) შემდგომი ხარჯები**

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

### **ბ) ცვეთა**

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

## **არამატერიალური აქტივები**

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

## **მარაგები**

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.



## **დაბეგრა**

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

## **შემოსავალი**

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გაუწევს მომსახურებას, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

## **ხარჯების აღიარება**

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

## **სახელფასო განაცემები**

ხელფასები, პრემიები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## **ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

## **შეფასებისა და წარდგენის ვალუტა**

### **(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა**

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

### **(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი**

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების

ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალიად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

**საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი**

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6894 | 2.9753 |
| კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.8068 | 2.9306 |

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

## 3. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### დივიდენდები და კაპიტალი

კომპანიამ დამფუძნებელზე ანგარიშგების თარიღიდან მისი დამტკიცების თარიღამდე გასცა 0 ლარის დივიდენდი.

## 5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 28 სექტემბერს.